პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 97 (696). | ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

დავნერგოთ, განვავითაროთ წყალბურთი

ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს საწყლოსნო სპორტის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის. შავი ზღვის სანაპირო, ტბები და მდინარეები საშუალებას იძლევიან სპორტის ამ მეტად სასარგებლო სახეობის განვითარებისათვის. რესპუბლიკის ახალგაზრდობას გატაცებით უყვარს ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, რაც ახალგაზრდობას ფიზიკურად აწრთობს და აჯანსაღებს. ამიტომ არის რომ სპორტული კალენდარით გათვალისწინებულ სხვადასხვა შეჯიბრებაში სისტემატურად ვლინდებიან ახალი თანრიგოსნები, სპორტის ოსტატები.

ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდნენ შესანიშნავი წყალბურთელები — მშვენიერაძე, გვახარია, ბრეუსი, ხარებოვი და სხვები, რომლებიც ამჟამად საბჭოთა კავშირის მოწინავე გუნდებში თამაშობენ და თავიანთი სპორტული ოსტატობით აღტაცებას იწვევენ მაყურებელში.

როდესაც წყალბურთის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, პირველყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ბაზების მდგომარეობა. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე არ არის. დედაქალაქის რამდენიმე საცურაო აუზი ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდების გაზრდილ მოთხოვნილებას, ხოლო „დინამოს" ერთადერთი ზამთრის საცურაო აუზი იმდენად გადატვირთულია, რომ ძნელია სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისა და შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარება.

თბილისის მშენებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ზამთრის დიდი აუზის აგება. სამწუხაროდ, ამ მეტად საჭირო ბაზის მშენებლობისათვის პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ გადადგმული არ არის, რაც შესამჩნევად აფერხებს დედაქალაქში სპორტის ამ მნიშვნელოვანი სახეობის განვითარებას.

მშვენიერი ბუნებრივი პირობები არსებობს საწყლოსნო სპორტისა და, კერძოდ, წყალბურთის განვითარებისათვის შავი ზღვისპირა ქალაქებში — სოხუმში, ფოთში, ბათუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში. ადგილობრივი ორგანიზაციები კი რატომღაც გულისყურით არ ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს.

5 დეკემბერს დედაქალაქში დაიწყო წყალბურთში ჩვენი გაზეთის სახელობის ჯილდოს გათამაშება, რაც ტრადიციული გახდა. შეჯიბრების პირველმა დღეებმა დაგვანახა, რომ თბილისის პირველი გუნდის გარდა, სხვა გუნდები ჯეროვნად არ არიან მომზადებული შეჯიბრებისათვის. იგრძნობა ტექნიკური და ტაქტიკური სისუსტე. თავდამსხმელთა შეტევები უმთავრესად სტიქიურ ხასიათს ატარებენ, მცველები კრიტიკულ მომენტში იბნევიან და ვერ ახერხებენ ბურთის მოგერიებას.

დასანანია, რომ მიმდინარე წელს ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდა ბათუმის გუნდი, რომელმაც გასულ წელს მეორე ადგილი დაიკავა. ბათუმელთა ძლიერი კოლექტივის არ ჩამოსვლამ რასაკვირველია, ცხადყო აჭარის სპორტის მესვეურთა გულგრილი დამოკიდებულება რესპუბლიკური ღონისძიებისადმი.

ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები სიხარულით უნდა მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თვითეული ასპარეზობა აჯამებს მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას, ზრდის სპორტსმენის მაჩვენებელს.

შავი ზღვისპირა ქალაქებს უნდა ჰყავდეთ წყალბურთელთა ძლიერი გუნდები. მათ ამის შესაძლებლობა აქვთ და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით, სიყვარულით უნდა მიაღწიონ კიდეც ამას.

დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდებათ სპორტულ საზოგადოებებს. მათი ვალია ადგილებზე შექმნან ძლიერი სექციები, უზრუნველყონ ისინი კვალიფიციური მწვრთნელებით, საწვრთნელი ბაზით. სექციების მეცადინეობაში ჩააბან დაინტერესებული ამხანაგები, ენერგიულად მოამზადონ ისინი შეჯიბრებისათვის და იბრძოლონ საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის.

ჩვენი გაზეთის ჯილდოს გათამაშებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა (მხოლოდ 6 გუნდი მონაწილეობს), რასაკვირველია ცოტაა, ძალიან ცოტა. აუცილებელია შემდგომში სოხუმმა, ფოთმა, ბათუმმა გათამაშებაში გამოიყვანონ ორ-ორი გუნდი, რაც კიდევ უფრო გაზრდის წყალბურთისადმი ინტერესს და გამოავლენს ახალ, ნიჭიერ სპორტსმენებს.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად განვითარდა სპორტის ბევრი სახეობა (ჭიდაობა, კალათბურთი, ფეხბურთი და სხვ.). საჭიროა საწყლოსნო სპორტიც არ ჩამორჩეს მათ და საკავშირო ასპარეზობებში ჩვენმა წარმომადგენლებმა სასურველ შედეგებს მიაღწიონ. ეს არის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა და მისი წარმატებით გადაჭრა დიდად შეუწყობს ხელს კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლების ფიზიკურ გამოწრთობას.

☆

ქალთა საკავშირო პირველობა

მეთორმეტე ტურში ყველა დაფაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. პირველობის ლიდერმა ზვორიკინამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა მალინოვასთან შეხვედრაში. ლენინგრადელმა ვოლპერტმა ესპანურ პარტიაში მახრინიასთან ეტლში და პაიკში ორი კუ მოიგო. ამ უპირატესობის რეალიზაციით ვოლპერტმა გაიმარჯვა 39-ე სვლაზე. მსოფლიო ჩემპიონმა ბიკოვამ საუცხოოდ გამოიყენა ფილანოვსკაიას შეცდომები დებიუტში და უკვე მე-20 სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე თავი დამარცხებულად ეცნო.

ყაიმით დამთავრდა გოგიავა-ვოიცეკისა და ვაისბერგ-ბიგლოვას პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს თამაშის გან ახლებლად ვაისბერგმა პარტია დაუთმო ვოლპერტს, ხოლო სტრანდსტრემ-მალინოვა და კაკაბაძე-ნალტინგი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ოსტატ ზვორიკინას სტრანდსტრემთან და კაკაბაძესთან გადადებულ პარტიებში მატერიალური უპირატესობა ჰქონდა. პარტიების დამთავრებისას მან გამარჯვებას მიაღწია.

მეცამეტე ტურში კაკაბაძე და გოგიავა დამარცხდნენ ვოლპერტთან და რუდენკოსთან.

მეთოთხმეტე ტურში კაკაბაძემ ძლიერი თამაშით მოუგო ბიგლოვას, სემიონოვამ — რუბცოვას და ბიკოვამ — გოგიავას. ზვორიკინა-იგნატიევას პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

თოთხმეტი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერია კ. ზვორიკინა — $11^1/_2$ ქულა.

„ლელოს" ჯილდოზე

შეჯიბრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თბილისის „დინამოს" სტადიონის ზამთრის საცურაო აუზის ტრიბუნა ხალხით გაივსო. გაზეთ „ლელოს" გარდამავალ ჯილდოზე რესპუბლიკის უძლიერეს წყალბურთელთა კოლექტივების ასპარეზობამ მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

... 5 საათი და 30 წუთია. თეთრი ფიქალით მოპირკეთებული აუზის კიდეზე მწყობრი ნაბიჯით შემოდის სპორტსმენთა კოლონა. საპატიო ადგილს იკავებს გარდამავალი ჯილდოს გასული წლის მფლობელი თბილისის წყალბურთელთა პირველი კოლექტივი. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ იწყება კალენდარული შეხვედრები.

წყალბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" ჯილდოზე პირველად 1952 წელს გათამაშდა. მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოთხმა გუნდმა და ბათუმისა და ფოთის წარმომადგენლებმა. პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო წილად ხვდა თბილისის პირველ გუნდს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. კრილოვი, ნ. გვახარია, რ. ალტაევი, ხ. შაიდულოვი, ვ. ჩერნიშოვი, ვ. გოიაშვილი, გ. ფედოროვი და გ. დარახველიძე.

წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობს თბილისის 4 გუნდი, სოხუმისა და ფოთის წყალბურთელთა კოლექტივები. ასპარეზობა ტარდება წრიული სისტემით.

... მსაჯის სასტვენის ხმაზე ერთმანეთის პირისპირ მოეწყვენ თბილისის „ტრუდის" და ფოთის წყალბურთელები. გასულ წელს ფოთის გუნდმა შეჯიბრებაში უკანასკნელი მეექვსე ადგილი დაიკავა. წელს ფოთის წყალბურთელთა კოლექტივი შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა. ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენთა მოსვლამ გუნდი ყველასათვის საშიშ მეტოქედ გადააქცია.

თამაში დაიწყო ფოთელ წყალბურთელთა იერიშებით და უკვე მეორე წუთზე ჯორჯაძემ ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი თბილისელთა კარში მოათავსა. „ტრუდის" წარმომადგენლები საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმების გამო წარმატებას ვერ მიაღწიეს. ფოთის სპორტსმენებმა, მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის იერიშები, გაშლილი ფრონტით გადავიდნენ თბილისელთა ნახევარზე და ბაიდანოვმა შორ მანძილიდან ნატყორცნი ბურთი კარის ზედა კუთხეში გაახვია. არ გასულა წუთიც და ანგარიში გახდა 3:0. ინიციატივა მთლიანად ფოთის გუნდის მხარესაა. „ტრუდის" წარმომადგენელთა ცდა, გაეხსნათ ანგარიში ამაო იყო. პირველი ნახევრის დამთავრებამდე ბურთმა კიდევ ორჯერ გადაკვეთა თბილისელთა კარის ხაზი.

თამაშის მეორე ნახევარში ფოთის წყალბურთელებმა მოწინააღმდეგის კარში კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს, თბილისელებმა კი ერთი გოლით უპასუხეს. მატჩის საბოლოო შედეგია 9:1 ფოთის გუნდის სასარგებლოდ.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა სოხუმისა და თბილისის „მედიკის" წყალბურთელთა შეხვედრა. მინიმალური უპირატესობით (4:3) გამარჯვება წილად ხვდათ აფხაზეთის სპორტსმენებს.

რესპუბლიკის უძლიერესმა კოლექტივმა თბილისის „დინამომ" დაამარცხა „ტრუდის" გუნდი — 6:1. საინტერესო სპორტული ვნებით იყო აღსავსე ფოთისა და ნორჩი დინამოელის შეხვედრა. მსაჯის საფინალო სასტვენისათვის ანგარიში იყო 7:3 ნორჩი დინამოელის სასარგებლოდ.

მეორე გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამომ". ამჯერად მან დაამარცხა „მედიკის" სპორტსმენთა კოლექტივი — 7:1.

დღეს გათამაშების უკანასკნელი დღეა. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა ჩვენი გაზეთის სახელობის ჯილდო — გარდამავალი თასი.

მ. ი. ჩიგორინის სახელობის თასზე

გორკში დამთავრდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება მ. ი. ჩიგორინის სახელობის თასზე.

პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ლენინგრადის ოლქის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოსტატები: ლისიცინი და სტოლიარი, ოსტატობის კანდიდატი ლუტიკოვი, ნოახი, ხავსკი, რუჩკინი და ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალები სიგარევა და მიკირიცკაია. გუნდის შედეგია 37 ქულა 56-დან.

მეორე ადგილი დაიკავა სვერდლოვსკის გუნდმა, მესამეზე არიან სარატოველი მოჭადრაკეები.

ჭიდაობის საკავშირო სექციის წარმომადგენელთა გამგზავრება პარიზში

ჭიდაობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის (იავფ) ბიუროს სხდომაზე დასასწრებად მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრნენ ჭიდაობის საკავშირო სექციის წარმომადგენლები იავფ-ის ვიცე-პრეზიდენტი დ. სმოლინი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კატულინი.

იავფ-ის ბიურო განიხილავს თავისუფალ ჭიდაობაში მომავალი მსოფლიო პირველობის საკითხს.

საბჭოთა კალათბურთელები ჩეხოსლოვაკიაში

ჩეხოსლოვაკელ კალათბურთელებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებიან მოსკოვის კალათბურთელ ქალთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდები.

საბჭოთა კალათბურთელებს პირველი გამოსვლა ჰქონდათ ქ. როჟნიავში, სადაც მოსკოვისა და სლოვაკიის პირველი გუნდების შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით — 88:34. მეორე გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს კვლავ სტუმრებმა — 65:20.

მეორე შეხვედრა გაიმართა ქ. პრშეროვში. მოსკოვის მეორე გუნდი შეხვდა ქ. ოლომოუცის გუნდს. თამაში საბჭოთა კალათბურთელების აშკარა უპირატესობით ჩატარდა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 73:9. საინტერესო იყო მოსკოვის პირველი გუნდისა და ჩეხოსლოვაკიის მეორე ნაკრების შეხვედრა. თამაში დაიწყო ჩეხების სწრაფი შეტევებით, ანგარიში ერთხანს მათ სასარგებლოდ იყო, მაგრამ მოსკოვის კალათბურთელმა ქალებმა თანდათან გამოასწორეს თამაში. ალექსეევას, მაქსიმოვას, ნაზარენკოს და სხვათა ზუსტი ტყორცნები ზედიზედ აღწევდა მიზანს. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — 87:51.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მურატოვი ასრულებს ჩამოხტომას ძელიდან.

სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. გოროხოვსკაია ამთავრებს ვარჯიშს ნაირსიმაღლის ორძელზე.

საინტერესო ლაშქრობა

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალპინისტურ-ტურისტულმა სექციამ მოაწყო ლაშქრობა მარშრუტით თბილისი-უძო-კოჯორი-ქოროღლი-ორბეთი-მანგლისი-მოხისი-პარატისი-ქვათახევი-წინარეხი-ნოსტე-ცხირეთი-ერთაწმინდა-ახალქალაქი-მეტეხი-თბილისი.

ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 49 კაცმა.

ლაშქრობა ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა. თოვლმა და წვიმამ მეტად გაგვირთულა გზა. საინტერესო იყო დიდგორის ქედის გადალახვა, რომელზედაც ერთ მეტრამდე თოვლი იდო. ქედზე თითქმის მთელი დღე ვიარეთ და საღამოს ქვათახევის მონასტრის ეზოში დავბანაკდით. დილით დავათვალიერეთ ქვათახევის ისტორიული ძეგლი, ვნახეთ სოფელ წინარეხში მდებარე მალალაანთ ეკლესიის ფრესკები, ნოსტეში აქამდე შემონახული გიორგი სააკაძის კოშკი. საღამოს მეტეხიდან მატარებლით დავბრუნდით თბილისისაკენ. ყველა მონაწილემ ჩააბარა ნორმები „სსრ კავშირის“ ტურისტის ნიშანზე.

ლ. მესხიძე

რაიონული პირველობა

დამთავრდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. მონაწილეობდა ვაჟთა 6 და ქალთა 8 გუნდი.

ვაჟთა შორის რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც 36,5 ქულა მოაგროვეს. გოგონებს შორის გაიმარჯვა ქალთა მე-6 საშუალო სკოლის გუნდმა.

ო. ალიხანოვი

◆

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 4 და 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილები, რომლებიც შეეხებოდა ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთისა და ალავერდის სპორტული მოედნების მოუწყობლობასა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

როგორც საქართველოს კ. პ. ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ზომები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

* * *

სამტრედიის რაიონში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები მოკლებული არიან ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რის შედეგადაც მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაშლილია სპორტული მუშაობა, — აღნიშნავდა ჩვენი გაზეთის 5 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი „როცა ხელმძღვანელობა მოისუსტებს“.

როგორც საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ხიტირი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

«ჩვენ აღტაცებული ვართ!»

◆

პრეს-კონფერენცია „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში

◆

საბჭოთა კავშირში ორ კვირაზე მეტ ხანს იმყოფებოდა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ჯგუფი. სტუმრები იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში, დაესწრნენ სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობას ტანვარჯიშში, გაეცნენ ტანვარჯიშის საკავშირო სექციის მუშაობას და ტანვარჯიშის მეცადინეობის ორგანიზაციას ფიზკულტურის კოლექტივებში.

სტუმრების გამგზავრების წინ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი სომერი (ჰოლანდია), ფედერაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტოენი (შვეიცარია), ქალთა ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ქ-ნი ორკო (ფინეთი), ვაჟთა ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი მაურერი (შვეიცარია), საბჭოთა პრესის, რადიოსა და საკდესის წარმომადგენლები.

სტუმრები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ იმ დღეებს, რომლებიც მათ საბჭოთა კავშირში გაატარეს. „შთაბეჭდილებანი იმდენად ბევრია, — თქვა ბ-ნმა სომერმა, — რომ ხანდახან თავბრუ მესხმის, ჩვენ აღტაცებული ვართ. მე ვნახე ყველაფერი, რისი ნახვაც მსურდა და მივიღე დაუვიწყარი წარმოდგენა“.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ნაგებობებს და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

სტუმრები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ბრძოლას ლენინგრადის საზამთრო სტადიონის სარბიელზე. ბ-ნმა მაურერმა თქვა „ზამთრის სტადიონი შესანიშნავად იყო მომზადებული, მოედანი მეტია, ვიდრე ოლიმპიური თამაშებისა ჰელსინკში. მაყურებლები უფრო მოხერხებულად უყურებენ შეჯიბრებების მსვლელობას. რაც შეეხება მსაჯობას, იგი უმწიკვლო, სწრაფი და ზუსტი იყო. შეფასებისას მსაჯები მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ ვიდრე ეს იყო ოლიმპიადაზე“.

„მე ვნახე საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ჰელსინკში. — თქვა ბ-ნმა ტოენიმ, — ისინი ბრწყინვალედ გამოვიდნენ და არსებითად ძნელი იყო ვინმეს შედარება მათთან. ლენინგრადში მე ვიხილე არა მარტო ოლიმპიური გუნდის წევრები, არამედ მრავალი სხვა ნიჭიერი ტანმოვარჯიშე. საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობა მომავალ მსოფლიო პირველობაზე, რომელიც მოეწყობა რომში, ამ შეჯიბრებას განსაკუთრებულ ინტერესს შემატებს“.

ქალთა ტანვარჯიშის განვითარების შესახებ თავის გამოსვლაში დაწვრილებით ილაპარაკა ქ-ნმა ორკომ. „მე განცვიფრებული ვარ ქალთა ტანვარჯიშის განვითარების დონით თქვენს ქვეყანაში. ლენინგრადში გამოდიოდა 200 ტანმოვარჯიშე ქალი და ყოველი მათგანი შესანიშნავად იყო მომზადებული. ვნახე აგრეთვე ლენინგრადის უნივერსიტეტის მეორე კურსელი ქალების მეცადინეობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ გაკვეთილმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ყველგან იგრძნობა, თუ რა დიდ ყურადღებას იჩენს საბჭოთა მთავრობა მოსახლეობის ფიზიკურ აღზრდაზე. საბჭოთა კავშირის პირველობაზე მე კვლავ ვიხილე ჰელსინკის ოლიმპიადაში გამარჯვებული მ. გოროხოვსკაია. იგი ამჯერად რამდენადმე სუსტად გამოიყურებოდა. ამან გული დამწყვიტა, მაგრამ შემდგომში გავიგე, რომ გოროხოვსკაიას ამას წინათ ბავშვი შესძენია და სინანული აღტაცებით შემეცვალა. მე თვითონ ხუთი შვილის დედა ვარ და განცვიფრებული დავრჩი — როგორ შეიძლება ასე ჩქარა (სამ თვეში) სპორტული ფორმის აღდგენა“.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა პასუხი გასცეს შეკითხვებზე.

შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ტანვარჯიშში 1954 წლის მსოფლიო პირველობისათვის მზადება, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა ტოენიმ სთქვა:

— მსოფლიო პირველობის ორგანიზაცია დაევალა იტალიის ტანვარჯიშის ფედერაციას. ნავარაუდევია, რომ პირველობაში მონაწილეობას მიიღებს ქალთა 16 და ვაჟთა 20 გუნდი. ამაზე უფრო ზუსტი ცნობების თქმა მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ ძნელია, სანამ ეროვნული ფედერაციებიდან არ შემოვა განაცხადები.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის პირად გუნდური პირველობა ტანვარჯიშში. საქართველოს ქალთა გუნდის გამოსვლა თავისუფალ ვარჯიშში რკალებით.

საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

კიევში, ფიზკულტურისა და სპორტის სასახლეში, დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები. გუნდური პირველობისათვის იბრძვიან საბჭოთა არმიის, „დინამოს“, „ისკრის“, „სპარტაკის“, „ნაუკისა“ და სხვა გუნდების წარმომადგენლები.

შეხვედრები დაიწყო უმჩატესი წონის მოჭიდავეთა გამოსვლებით. დინამოელმა კარავაევმა მოუგო სპორტის ოსტატს ფირგერს („სპარტაკი“). მჩატე წონის სპორტსმენთა შახოვის („დინამო“) და თვანეზოვის („სპარტაკი“) შეხვედრა დამთავრდა უკანასკნელის სუფთა გამარჯვებით.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ საჭიდაო სარბიელს დაუბრუნდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ქარქუსაშვილი. მისი შეხვედრა საართან („სპარტაკი“) აღინიშნა სპარტაკელის უპირატესობით. პირველ შეხვედრაში ქარქუსაშვილმა დამარცხება განიცადა.

მეტად დაძაბული გამოდგა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის მეკოკიშვილის შეხვედრა პირველთანრიგოსან სალარაძესთან („სპარტაკი“). მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა მეკოკიშვილმა.

ამ დღეს „დინამოს“ სპორტსმენებმა დაამარცხეს „სპარტაკის“ გუნდი, ხოლო „ნაუკამ“ — „ისკრის“ წარმომადგენლები.

ახალგაზრდა მოცურავის მიღწევა

მოსკოვის № 2 საცურაო აუზში გაიმართა მოზარდთა შეჯიბრება ცურვაში. წარმატებით გამოდიოდა ახალგაზრდული სკოლის წარმომადგენელი ა. სემიონოვი (მწვრთნელი ზ. მაკაროვა). სემიონოვმა 100 მ ბრასის სტილით გასცურა 1:16,5. ეს შედეგი აღემატება 15-16 წლის ჭაბუკთა საკავშირო მიღწევას.

ცხენოსანთა და მძლეოსანთა შეხვედრები

გურჯაანის სპორტულ მოედანზე გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში, ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობაში. მონაწილეობა მიიღეს რაიონის საუკეთესო სპორტსმენებმა.

დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში კარგი მომზადება გამოამჟღავნეს შ. მსუქნიშვილმა და გ. ბაგრატაშვილმა, ისინდში — ს. მინდორაშვილმა, გ. ბეგაშვილმა და ს. ჭაჩილიშვილმა.

100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა მოსწავლე რ. ჯანგულაშვილმა. ფეხბურთში გურჯაანის სპორტსკოლის გუნდმა დაამარცხა კარდანახის კოლმეურნეობის გუნდი (3:2).

ი. ოდიშელიძე

ყურადღებისა და ხელმძღვანელობის გარეშე

მოზრდილი რეკლამა დიდი ამბით იუწყებოდა ველოსპორტში საქალაქო პირველობას. სპორტის ამ სახეობის მოყვარულნი სასტარტე ხაზთან დილითვე შეიკრიბნენ, მაგრამ მათს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეჯიბრების მონაწილეთა შორის მხოლოდ ოცამდე ჭაბუკი და გოგონა იხილეს.

— ქალაქში 32 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია და ნუთუ ველომრბოლთა რიცხვი ასე მცირეა?! — უკმაყოფილოდ ამბობდნენ ისინი.

სტალინირის სპორტულ საზოგადოებებში არც თუ ისე პატივისცემით სარგებლობს ველოსპორტი. ეს იმ დროს, როცა ქალაქის ქუჩებში ბევრს ნახავთ ველოსიპედით მოსეირნე ჭაბუკებს.

— აი, ამათგან კარგი ველოსიპედისტები აღიზრდებოდა, სექციაში მუშაობის სურვილიც აქვთ, მაგრამ... — გვითხრა პირველთანრიგოსანმა რ. ხეთაგუროვმა და ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია.

ახალგაზრდობის ხვეწნითა და მუდარით შარშან „ბურევესტნიკის“ საბჭომ ველოსექცია ჩამოაყალიბა. ერთი-ორჯერ წაიმეცადინეს კიდეც. ამჟამად საზოგადოებას ოთხი სპორტული ველოსიპედი აქვს, მაგრამ ისინი გამოკეტილ ოთახში უქმად აწყვია.

„ბურევესტნიკის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი პ. ოსტაევი პირველად დიდი რიხით ამტკიცებდა: — ჩვენთან ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ გამოირკვა, რომ „ბურევესტნიკის“ საბჭოში არა მარტო ველოსექციის, არამედ თვით ამ საზოგადოების არსებობის შესახებაც ფარატინა ქაღალდიც არ არის. როცა პ. ოსტაევის უმოქმედობას ფარდა აეხადა, მან უსაფუძვლო თავის მართლება დაიწყო, ამასთან მთელი ბრალდება რესპუბლიკურ საბჭოს მოახვია.

მისი ერთწლიანი „მოღვაწეობა“ იმით აღინიშნა, რომ სექციებში მთლიანად ჩაიშალა მუშაობა, ხოლო ერთადერთი სპორტული მოედანი გადათხარეს და შეშის საწყობად გადააქციეს.

სტალინირის სპორტულ საზოგადოებათა შორის ყველაზე დიდია „დინამო“. აქ ველოსექცია კარგა ხანია არსებობს, მაგრამ მხოლოდ ოთხადოთხ კაცს აერთიანებს.

მზიან ამინდებში საბჭოს თავმჯდომარე ა. გევორქოვი გამოიტანს ხოლმე თავის განკარგულებაში არსებულ ორ ველოსიპედს და ხან გოგონებს დაატარებს, ხან ჭაბუკებს — ეს არის ველოსექციის მუშაობა... საერთოდ „დინამოს“ საბჭოში დაინტერესებული არიან ველოსპორტით, მაგრამ მანქანების სიმცირე, ბაზის უქონლობა ხელს უშლის სისტემატური საწვრთნელი მუშაობის გაშლას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სკოლებს ქალაქში სხვა სპორტულ საზოგადოებებს არც უფიქრიათ ველოსპორტის განვითარებაზე. სკოლებშიც ეს საქმე ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის ველოსექციაში (ხელმძღვანელი ნ. ბეკოევი) 10 მოსწავლეა გაერთიანებული. მაგრამ სექციის მუშაობის შესახებ აქ რაიმე დოკუმენტი არ არსებობს. მსგავსი მდგომარეობაა ქალთა მეოთხე საშუალო სკოლაშიც. მუშაობის ყველაზე უკეთესი პირობები პედაგოგიურ ინსტიტუტს აქვს, მაგრამ ინსტიტუტის ფიზკულტურის მუშაკები თავს არ იწუხებენ.

აღსანიშნავია, რომ სპორტულ ორგანიზაციებს წარმოდგენაც არ აქვთ ქალაქში რამდენი ველოსიპედისტია, ან ვის აქვს მანქანები. მათი რიცხვი ოცს არ აღემატებაო, — თქვეს ჯანმრთელობის საქალაქო განყოფილებაში. შემდეგ გამოირკვა, რომ მარტო 10 თვის განმავლობაში მაღაზიებმა 60-მდე ველოსიპედი გაყიდეს.

სტალინირში ბევრია ველოსპორტით დაინტერესებული ახალგაზრდა. უმრავლესობა დამოუკიდებლად ვარჯიშობს სპორტის ამ საინტერესო და მიმზიდველ სახეობაში. ამას წინათ მოწყობილ საქალაქო შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები გამოავლინეს რ. ხეთაგუროვმა, ა. ქელეხსაევმა, დ. კაკიაშვილმა, ხ. ფარასტაევმა, გ. ბეგიაშვილმა; გოგონებმა ვ. პლიევამ და მ. ელბაქიძემ. ცხადია, სისტემატურად რომ ეწყობოდეს ახალგაზრდების წვრთნა, შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, შედეგი კი — უკეთესი.

ველოსპორტის განვითარების საკითხი ქალაქის კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ყურადღებასა და ხელმძღვანელობას მოითხოვს.

ზ. ჯანდიერი

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

ფეხბურთი

თბილისის ფეხბურთელთა ტრადიციული შეჯიბრების — კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშების ფინალში ქალაქის ორი უძლიერესი გუნდი გავიდა. 6 დეკემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ოფიცერთა სახლისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელები

მატჩის დასაწყისი თანაბარი ბრძოლით წარიმართა. ორივე გუნდის თავდამსხმელები ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. ტრამვაელები იერიშებს მაღალი ტემპით ახორციელებდნენ და გარღვევებით ამთავრებდნენ. არმიელთა თავდამსხმელები უფრო გეგმიანად და კომბინაციურად მოქმედებდნენ.

პირველ ტაიმში ორივე გუნდის კარში თითო ბურთი იქნა გატანილი. ანგარიშით 1:1 გუნდები წავიდნენ შესვენებაზე. მეორე ნახევარში ოფიცრის სახლის ფეხბურთელებმა თამაში საგრძნობლად გააუმჯობესეს. მე-11 წუთზე ჩაიჩუკის მიერ მოწოდებული კუთხური თავით გაიტანა კოვერზნევმა — 2:1, მალე რამიშვილმა ანგარიში სამამდე გაზარდა. ტ. ტ. ს-ის გუნდმა სცადა გარდატეხა მოეხდინა თამაშში, მაგრამ მოწინააღმდეგე წარმატებით იგერიებდა იერიშებს.

არმიელთა საპასუხო შეტევა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. ჩაიჩუკმა ჯერ 15 მეტრიდან „მკვდარი" ბურთი გაგზავნა ტ. ტ. ს-ის კარში, ხოლო მატჩის, დასასრულისათვის 11 მეტრიან საჯარიმოდან მეხუთე ბურთიც გაიტანა.

ამრიგად, კონსტიტუციის თასის ფინალი დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წარმატებით — ანგარიშით 5:1.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა საპატიო ჯილდო — თასი.

ვ. ხუციძე

კალათბურთი

საინტერესო სპორტული ბრძოლებით აღინიშნა კონსტიტუციის თასზე კალათბურთელთა ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები. ნახევარფინალში ვაჟთა შორის ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. სწრაფი ტემპი, რომლითაც დაიწყო თამაში, არ შენელებულა მატჩის დამთავრებამდე. საბოლოო შედეგია 69:65 პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ. მეორე ნახევარფინალში თბილისის „დინამომ" ადვილად დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი — 125:61.

თბილისის „დინამოსა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა ფინალური შეხვედრა დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. სტუდენტებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა უძლიერეს კოლექტივს („დინამო" არასრული შემადგენლობით თამაშობდა) და შეხვედრა წააგეს ანგარიშით — 69:73.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია ქალთა გუნდების ასპარეზობამ. ფიზკულტურისა და უცხო ენათა ინსტიტუტების კალათბურთელების შეხვედრის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. შესვენებისათვის ანგარიში იყო 23:21 ფიზკულტურის ინსტიტუტის სასარგებლოდ. შემდგომ ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა შეძლეს გარდატეხა მოეხდინათ თამაშში და მატჩი მოიგეს — 62:38. გაურკვეველი მიზეზით სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ ძირითადი შემადგენლობით არ გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა კოლექტივი. თამაში მოიგო უნივერსიტეტის კოლექტივმა — 56:32. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ფინალში დაამარცხა უნივერსიტეტის კალათბურთელები — 68:41.

გ. კოზაიძე

სურათზე: მომენტი ტ. ტ. ს-ის კართან. კარში ურტყამს არმიელთა გუნდის თავდამსხმელი პოდლესნი.
ფოტო მ. ზარგარიანისა

ამანათრბენა

წრიული ამანათრბენი ქალაქის ქუჩებში თბილისელ მძლეოსანთა ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიებაა. 5 დეკემბერს ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა ამანათრბენს.

...სპორტსმენებმა დიდი ჯგუფით დასტოვეს მოედანი და პუშკინის ქუჩით ბარათაშვილის ხიდისაკენ დაეშვნენ. სტალინის სახელობის სანაპიროზე დაწინაურდა სამი მძლეოსანი — უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ნახიმოვის სასწავლებლის წარმომადგენლები. თანდათან წინ გადის უნივერსიტეტის სპორტსმენი, რომელიც მესამე ეტაპზე სხვებზე ადრე აბარებს ამანათს თავის პარტნიორს. ლიდერობა უნივერსიტეტის მძლეოსნებმა შეინარჩუნეს პლეხანოვის პროსპექტისა და ჩელიუსკინის ქუჩის კუთხემდე. აქ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიდან ამანათი მიიღო სპორტის ოსტატმა ვაშაკიძემ, რომელიც დაეწია წინ წასულს და გაუსწრო კიდეც. ახლა ამანათრბენის ლიდერობა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ხელში გადავიდა. ლენინის ქუჩის აღმართზე განსხვავება ლიდერსა და უნივერსიტეტის წარმომადგენელს შორის საკმაოდ გაიზარდა. ლენინის სახელობის მოედანზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ტაშისცემით შეეგება პირველად გამოჩენილ სპორტსმენს — ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელს. გამარჯვებული გუნდის დროა — 18:21,4. რეკორდი ამანათრბენში, რომელიც ეკუთვნოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს (18:12,4) ვერ იქნა გაუმჯობესებული.

ქალთა შორის ასპარეზობა მოიგო ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდმა.

რ. ჩაჩანიძე

ჭიდაობა

სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში ძირეულ კოლექტივებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურის ინსტიტუტების, ფიზკულტურის ტექნიკუმისა და სხვა გუნდები.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა პირველობის მთავარ პრეტენდენტთა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის მოჭიდავეთა შეხვედრა. ანგარიში თავიდანვე უნივერსიტეტის გუნდს მიყავდა — 4:1, მაგრამ ჯერ ბარბაქაძემ, შემდეგ კიელიზბარაშვილმა და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კარტოზიამ ანგარიში გაათანაბრეს.

დაძაბულ სპორტულ პაექრობაში პირველი ადგილი წილად ხვდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სპორტსმენები.

თ. დაუშვილი

ფრენბურთი

„დინამოს" სპორტულ დარბაზში საინტერესოდ ჩატარდა კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფრენბურთში. პირველ შეხვედრებში მონაწილეობდა ვაჟთა 14 და ქალთა 8 გუნდი. ფინალში კი მხოლოდ ოთხი გუნდი გავიდა. ესენი იყვნენ: ქალთა შორის „ნაუკისა" და „დინამოს" კოლექტივები, ვაჟებიდან — ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და თბილისის ოფიცერთა სახლის ფრენბურთელები.

ქალთა გუნდების ფინალურ შეხვედრაში „ნაუკის" ფრენბურთელებმა თამაშის დასაწყისიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. დინამოელთა ყოველგვარი ცდა, თავი დაეღწიათ დამარცხებისათვის, ამაო აღმოჩნდა. თასი მოიპოვა „ნაუკის" კოლექტივმა.

სპორტულად საინტერესოდ და დაძაბულად ჩატარდა ვაჟთა ფინალური შეხვედრა. ინსტიტუტის ფრენბურთელებმა არმიელები დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

დ. მოისწრაფიშვილი

მოტოგადარბენა

თბილისის 26 კომისრის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ მოაწყო მოტოგადარბენა: თბილისი-გორი-თბილისი.

5 დეკემბერს ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა გადარბენის მონაწილეებს. სპორტსმენები გზადაგზა ატარებდნენ საუბრებს საბჭოთა კონსტიტუციაზე. გორში მათ დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. ბ. სტალინმა.

ი. ქუმსიშვილი

სურათზე: წრიული ამანათრბენის ეტაპებზე.

თოვლით დაფარულ მძლეოსნობის ბილიკებზე

პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა სპარტაკიადა, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა. შეჯიბრება მოეწყო მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლასა და ჭადრაკში.

100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ლურსმანაშვილმა. ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა რ. ევგრაფოვამ. გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ვაჟებს შორის პირველი იყო გ. შაქარაშვილი (გორის ინსტიტუტი), რომელიც 5 მ 59 სმ-ზე გადახტა, ქალებში — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი ნ. ჭეიშვილი. სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილები დაიკავეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა: ვაჟთა შორის მ. მიქელაძემ, ქალებში — მ. კრასულიამ. ბადროს ტყორცნაში ვაჟებიდან გაიმარჯვა ქ. ბიწაძემ (გორი). მანვე გაიმარჯვა ყუმბარის ტყორცნასა და 400 მეტრზე რბენაში. ქალებიდან ბადროს ტყორცნაში პირველობა მოიპოვა მ. ხელაძემ (თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი), ყუმბარის ტყორცნაში — ფ. ქუმარიტოვამ (სტალინირის პედინსტიტუტი), 400 მეტრზე რბენაში დ. ქორქოლიანმა (ქუთაისი). ბირთვის კვრაში ვაჟებიდან პირველი იყო ბათუმელი ბ. ერქომაიშვილი, ქალებიდან — ლ. ვოსკრესენსკაია. 1.500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა გორის პედინსტიტუტის სტუდენტმა გ. გრიგალაშვილმა. ვაჟთა ამანათრბენში 4×100 ფინიშთან პირველი მივიდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი, ქალთა შორის — ქუთაისის კოლექტივი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუდენტთა შეჯიბრება მძლეოსნობაში მიმდინარეობდა თოვლით დაფარულ სარბენ ბილიკებზე, სექტორებზე, რაც პირველი შემთხვევაა.

მძლეოსნობაში საერთო პირველი ადგილი მიეკუთვნა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს. მეორე ქუთაისს, მესამე სტალინირს.

სროლაში მონაწილეობდა 50 სპორტსმენი. გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელმაც 186 ქულა მოაგროვა.

ვაჟთა შორის სპორტის ამ სახეობაში გაიმარჯვა ა. ბურჯანაძემ (ქუთაისი), ქალებიდან — ე. აბზოვამ (ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი).

ნებისმიერი სტილით ცურვაში ყველას აჯობა ო. ნევანსკიმ, ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. ანდღულაძემ (ორივე პუშკინის სახელობის პედინსტიტუტიდან). ცურვაში გათამაშდა პირადი პირველობა, რადგან ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს შეჯიბრებებზე გუნდების წარმოდგენა.

ჭადრაკში გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა გორის პედინსტიტუტის მოჭადრაკეებს. პირად პირველობაში გაიმარჯვეს ვაჟებიდან გ. არმეინმა, ქალებიდან — მ. ზრეგვაძემ (ორივე პუშკინის სახელობის ინსტიტუტიდან).

სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი მიეკუთვნა ქუთაისის პედინსტიტუტის კოლექტივს.

ვ. კიკნაძე

ამხილეს ნაკლოვანებები

კომკავშირის ზნაურის რაიკომის კონფერენციაზე

შედგა საქართველოს ალკკ ზნაურის რაიკომის XIV კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ო. ბეგიაშვილი.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ზნაურის რაიონში ფიზკულტურა და სპორტი დიდად ჩამორჩება. რაიონულ ცენტრშიც სამ წელზე მეტია შენდება სტადიონი... მოედნებითა და სპორტული დარბაზებით არც სკოლებია უზრუნველყოფილი.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის ინსპექტორი გ. ბესტაევი, თავს ვერართმევს საქმეს. მშთ I საფეხურზე 50 კაცის ნაცვლად წელს მომზადდა 40, 166 იმშთ ნიშნოსნის ნაცვლად მომზადდა 65, მშთ II საფეხურზე კი არც ერთი კაცი არაა მომზადებული.

უმოქმედობას იჩენს საზოგადოება „კოლმეურნე" (თავმჯდომარე გ. ბარიშვილი). წლის განმავლობაში აქ ერთხელაც არ ჩაუტარებიათ რაიონული მასშტაბის რაიმე ღონისძიება. მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე სუსტად ზრუნავს განათლების განყოფილება.

სიტყვებით გამოსულმა ც. გუჩმაზოვმა, ყ. კულუმბეგოვმა და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს კომკავშირის რაიკომი, ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილება და სპორტსაზოგადოებები ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისათვის.

ვ. ცოტნიაშვილი

აგვიანებენ გეგმების შესრულებას

თელავის რაიონში დღემდე არ არის შესრულებული მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმა.

მშთ I საფეხურის გეგმით გათვალისწინებული 770 ნიშნოსნის ნაცვლად მომზადდა 627. II საფეხურის 156 ნიშნოსნის ნაცვლად კი — 117. ჩამორჩენაა აგრეთვე საზოგადოებრივი კადრებისა და ფიზორგების მომზადებაში.

ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ „მედიკის" (თავმჯდომარე მ. ყაჯრიშვილი) და „პიშჩევიკის" (თავმჯდომარე ლ. ნიკიტინი) რაისაბჭოებს. „უროჟაისა" და „კრასნაია ზვეზდას" რაისაბჭოებს თავმჯდომარეებიც კი არ ჰყავთ და ცხადია ისინი ვერავითარ გეგმას ვერ შეასრულებენ.

ა. სახიევი

პირველობა არაორგანიზებულად ჩატარდა

ჩატარდა აბაშის რაიონის მოსწავლეთა პირველობა ფეხბურთში. გამარჯვება წილად ხვდა ვაჟთა საშუალო სკოლის გუნდს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფეხბურთელები ბ. ლაბარტყავა, ზ. ქობალავა, რ. დამენიანი და სხვ.

გათამაშების მსვლელობამ ცხადყო რაიონის ახალგაზრდების სიყვარული სპორტისადმი. გამომჟღავნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. მაგალითად, პირველი მაისის საშუალო სკოლის ფეხბურთელები ვაჟთა სკოლის ფეხბურთელებთან შეხვედრისას უხეშად მოიქცნენ. თამაშის დამთავრებისთანავე უცენზურო სიტყვებითა და შეძახილებით დატოვეს მოედანი და ყურიც არ ათხოვეს მსაჯის სასტვენის ხმას, რომელიც 5 წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდა მათ მოედნის ცენტრში.

ჯანდაცვის რაიონულმა განყოფილებამ ვერ უზრუნველყო გათამაშების ორგანიზებულად ჩატარება.

ჯ. ჯოჯუა,
ლ. კაჭარავა.

ჭადრაკი—უძველესი თამაში

არსებობს მრავალი ლეგენდა იმის შესახებ, თუ რაოდენ უძველესი თამაშია ჭადრაკი. ეს ლეგენდები საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ არც თუ ისე ბევრისთვისაა ცნობილი ის წყაროები, რომელთა საფუძველზე თანამედროვე მეცნიერება ჭადრაკის სიძველეს განსაზღვრავს. არსებობს რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყარო, რომლებიც პირდაპირ ლაპარაკობენ ჭადრაკის შესახებ: ინდოელ-სანსკრიტელი ავტორები, რომლებიც 600-650 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მდინარე განგის ხეობაში ცხოვრობდნენ, აღწერდნენ რა კანაუჯის სამეფოში სანიმუშო წესრიგსა და არმიას, ამ წესრიგს ადარებდნენ საჭადრაკო დაფასა და მასზე განლაგებულ ფიგურებს. უფრო ადრეული ინდური საბუთები, რომლებშიც ლაპარაკია ჭადრაკზე, არ არსებობს.

ძვირფას ცნობებს გვაწვდიან სპარსული წყაროები: ხელნაწერი (ორ ნაწილად) ფალაურ ენაზე „მატიკანი და ჩატრანგი“ და „ჩატრანგ-ნამაკი“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XIII საუკუნის რედაქციით. უეჭველია, იგი ასლია უფრო ადრეული ორიგინალისა, ვინაიდან ზოგიერთი ისტორიული და ფილოლოგიური მონაცემით მეცნიერები მის პირველად ორიგინალს VII-VIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ, როცა ირანში მეფობდა გამოჩენილი მეფე-სასანიდი ხოსროვ I ანოშირვანი, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი. ეს ფალაური ხელნაწერი პირველად იქნა გაშიფრული და ნათარგმნი რუსი აკადემიკოსის კ. გ. ზალემანის მიერ 1886 წელს; მეორე წყაროა ლიტერატურული — X საუკუნის ცნობილი პოემა „შაჰნამე“, რომელშიც დიდი პოეტი ფირდოუსი ლაპარაკობს ჭადრაკის თამაშის შესახებ, უწოდებს რა მას ჩატრანგს (დამახინჯებული სანსკრიტული სიტყვა ჩატურანგი). გარდა იმისა, რომ თვითონ სახელწოდების ძველ-ინდურიდან სესხება ლაპარაკობს ამ თამაშის ინდურ წარმოშობაზე, ორივე წყარო ირანში ჩატრანგის (როგორც ინდური გამოგონების) გავრცელებას ხოსროვ ანოშირვანის (509-579 წ.) დროს მიაწერს. ამასთან ასახელებენ აგრეთვე მთელ რიგ არაბ ავტორებს (IX-X და XI საუკუნეები).

პირველი საჭადრაკო წიგნი არაბულ ენაზე (ავტორი ალ-ადლი) დაიწერა დაახლოებით 850 წელს და შეიცავდა მითითებებს დებიუტების, ამოცანების, ფიგურათა სვლების, ცალკეული პარტიების შესახებ, მასში განმარტებული იყო აგრეთვე, თუ რა განსხვავება იყო თამაშის ინდურ და სპარსულ წესებს შორის. ჭადრაკის ისტორიისა და ამ თამაშის ხასიათის შესახებ ბევრი ძვირფასი ისტორიული მასალაა ეგრეთწოდებულ ესკურიალურ ხელნაწერში (1283 წელი). კასტილიის მეფის ალფონს ბრძენის ბრძანებით სევილიაში დაწერილი ეს ტრაქტატი დიდებულადაა ილუსტრირებული და ადასტურებს ზემოხსენებ წყაროებში მოცემულ ისტორიულ ცნობებს.



ჭადრაკის უძველესი ფიგურები.

დაფისა და ფიგურების შესახებ ბევრ ცნობას გვაწვდის ზემოაღნიშნული ესკურიალური ხელნაწერი. დაფები იყო როგორც 64 უჯრიანი, ისე 144 და 100 უჯრით (100 უჯრის შესახებ მოგვითხრობს ფირდოუსი). როგორც ჩანს, ასეთ დაფებზე თამაში არ ჰგავდა თამაშს, რომელსაც წარმართავს გონება, მაგრამ, რამდენადაც ფიგურები იგივეა: მეფე, ლაზიერი, რუხი (ეტლი) და პაიკები, ასეთ დაფებზე თამაშს რაღაც საერთო ჰქონდა ჩვეულებრივ ჭადრაკთან.

საჭადრაკო ფიგურების გასაკეთებლად ხოსროვ ანოშირვანის დროს მასალად იყენებდნენ ფირუზს, ოქროს, სპილოს ძვალს. რასაკვირველია, ეს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მეფისათვის, დიდებულებისა და ფეოდალებისათვის. უბრალო ხალხი ჭადრაკის ფიგურებს ჭრიდნენ ხარის რქისაგან (მეჯოგე წურთები), თიხისაგან, ან ტირიფისაგან (არაგაცის მთის კალთებზე განლაგებული სომხური სოფლების მცხოვრებლები).

ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული უძველესი საჭადრაკო ფიგურები კი გაკეთებულია უმთავრესად მთის ბროლისაგან ან სპილოს ძვლისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმებში არსებულ ძველ საჭადრაკო ფიგურებს შორის ძალიან მცირეა აღმოსავლეთში ხმარებული ფიგურები. მაგალითად პარიზში ინახება მხოლოდ ორი ფიგურა იმ კომპლექტისაგან, რომელიც ეკუთვნოდა კარლოს დიდისადმი გაგზავნილ ჰარუნ-ალ-რაშიდის ელჩს და კიდევ თითო ან ორ-ორი ფიგურა დაცულია ინგლისის, გერმანიისა და იტალიის სხვადასხვა მუზეუმში. უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული ორი საჭადრაკო ფიგურა. ერთ-ერთი მათგანი (სპილოს ძვალი) გამოსახავს მძიმე იარაღით აღჭურვილ მხედარს, რომელიც მოგვაგონებს სპარსულ-სასანიდურ გამოსახულებას და მეცნიერთა მიერ დათარიღებულია VIII-IX საუკუნით. ეს ფიგურა ნაპოვნია ძველი სამარყანდის გათხრების დროს. მეორე ფიგურა ნაპოვნია იმ ადგილას, სადაც წინათ ძველი ფერგანა იყო და გამოხატავს ლეგენდარულ ფრინველს — რუხს, რომელიც, უძველესი წყაროების ცნობით, ახლანდელი ეტლის ადგილს იკავებდა. ამ ფრინველს მიაწერდნენ უდიდეს სიმბოლიურ მნიშვნელობას — როგორც გმირის მფარველს.

როქი თანამედროვე მნიშვნელობით არის მოქმედება დაკავშირებული მეფისა და განაპირა ფიგურის (ძველად ფრინველი რუხი, ამჟამად ეტლი) ადგილგადანაცვლებასთან. რუხი, როგორც სიმბოლო გმირის მფარველისა, შემონახულია ადრეული პერიოდის ჰერალდიკაში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კოშკების კეთება იქნა შემოღებული.

მ. ვადბოლსკი

მეფის როლი ენდშპილში

ენდშპილი, ე. ი. თამაშის ბოლო, საჭადრაკო პარტიის მთავარი და რთული ნაწილია. ყველაზე ხშირად სწორედ ენდშპილში წყდება პარტიის ბედი.

იმის განსაზღვრა, თუ როდის გადადის პარტია ენდშპილში, ძნელი საქმეა. მაგრამ არსებობს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც შესაძლებელია ენდშპილის დაწყების დადგენა. ეს ნიშნები შემდეგია:

1. დაფაზე ფიგურების რაოდენობის საგრძნობი შემცირება, რომლის გამო არც ერთ მოწინააღმდეგეს არ აქვს საშამათო კომბინაციების, შეტევის, კონტრიერიშების მოწყობის შესაძლებლობა.
2. უსაზღვროდ იზრდება პაიკთა როლი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაიკთა მოხდენილ, ხელსაყრელ განლაგებას. გამსვლელი პაიკის შექმნას, ცენტრში ან ფლანგზე, პაიკთა გარღვევას და სხვ.
3. იზრდება ფიგურების აქტივობა და ვარიანტების გათვლის სიზუსტე.
4. ტემპის მნიშვნელობის ზრდა. ენდშპილისათვის დამახასიათებელია აგრეთვე დროის ეკონომია.
5. მეფის გარდაქმნა პასიური ფიგურიდან აქტიურად.

უკანასკნელ ნიშანს თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს ენდშპილისათვის. ცნობილია, რომ მეფე ჭადრაკის მთავარი ფიგურაა, რომლის დაშამათებისათვის წარმოებს ბრძოლა. ცხადია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, როგორც მეფეა, საჭიროა ბრძოლის ველს დროებით მოვარიდოთ, მაგრამ როცა გაივლის შუა თამაშის ქარიშხალი და პარტია ენდშპილში გადადის, მეფე ხდება შემტევი ფიგურა, ბრძოლის აქტიური მონაწილე, რომელზეც ძირითადად დამოკიდებულია თამაშის გეგმის წარმატება. აი ამის მაგალითი:



ეს მდგომარეობა შეიქმნა კაპაბლანკა — ტარტაკოვერის პარტიაში. თეთრებს უპირატესობა აქვთ, რაც კონკრეტულად გამოხატულია ეტლის ძლიერ პოზიციასა და გამსვლელ პაიკში. კაპაბლანკა თამაშში აბამს მეფეს, რისთვისაც დროებით ორ პაიკს სწირავს და იგებს პარტიას. 1. მფg3 ე:c3+ 2. მფh4 ეf3 3. g6 ე:f4+ 4. მფg5 ეe4 5. მფf6 მფg8 6. ეg7+ მფh8 7. ე:c7 ეe8 8. მფ:f5 ეe4 9. მფf6 ეf4+ 10 მფe5 ეg4 11. g7+ მფg8 (აყვანა არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ პაიკების ენდშპილი შავებისათვის უიმედოა) 12. ეa7 ეg1 13. მფd5 ეc1 14. მფd6 ეc2 15. d5 ეc1 16. ეc7 ეa1 17. მფc6 ეa4 18. d6 შავები დანებდნენ.

როგორც დებიუტში და შუა თამაშში, ენდშპილში გეგმიანობა მთავარია. გეგმის განხორციელების გული და სული მეფეა. იგი ისწრაფვის დაიკავოს მოწინააღმდეგის პოზიციის ძლიერი უჯრები და სუსტი პუნქტები. ამით მეფე ავიწროვებს და ხელს უშლის მოწინააღმდეგის გეგმების განხორციელებას და ზრდის თავისი გამარჯვების შესაძლებლობას.

გამსვლელი პაიკის შექმნა გამარჯვების ერთ-ერთი გზაა. მეფე აქაც გადამწყვეტ როლს თამაშობს. იგი გამსვლელი პაიკის შექმნაში არა მარტო აქტიურია, არამედ წინ უძღვება პაიკს ლაზიერად გადაქცევისას.

ბუნებრივია, რომ ორივე მოწინააღმდეგე ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს თავისი მეფე. მეფეები მიიწევენ ერთმანეთისაკენ, ცდილობენ დასახული გეგმის განხორციელებაში ხელი შეუშალონ ერთმანეთს. ამით იწყება საინტერესო თამაში. ამ დროს წარმოშობილ დაბრკოლებათა დაძლევა ნამდვილი შემოქმედებაა. მეფეებს შორის გაიმართება თავისებური ორთა ბრძოლა. ოპოზიცია, (მდგომარეობა, როდესაც მეფეები პირისპირ შეხვდებიან) ენდშპილის ცალკე თავია. აქ ვლინდება ჭადრაკის თამაშის სიღრმე. ოპოზიციაში სვლების გათვლის სისწორეს, რომელიც მათემატიკურ სიზუსტეს მოითხოვს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ოპოზიციაში მეფე მთავარი მოქმედი პირია.

ენდშპილის სახეები მრავალფეროვანია. ყველგან და ყოველთვის მეფე უნდა იყოს აქტიური, შემტევი და შემოქმედი.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ერთ თვეს გრძელდებოდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ჩემპიონატი. მონაწილეობდა საინსტრუმენტო, ამწყობი, სავაგონო და სხვა საამქროთა 20 მოჭადრაკე.

გამარჯვება მოიპოვა ტექნოლოგმა შ. არუთინოვმა, რომელმაც 16,5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა მ. გავაშელაშვილი (სავაგონო საამქრო), მესამეზე — საინსტრუმენტო საამქროს ხარატი ა. პეტროსიანი.

ფოტო ა. ვართანოვისა.

საბჭოთა ფეხბურთელთა საერთაშორისო შეხვედრების შედეგები

დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები.

მიმდინარე სეზონში საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობდა ექვსი საბჭოთა გუნდი: სსრ კავშირის ჩემპიონი „სპარტაკი“ (მოსკოვი), სსრ კავშირის თასის მფლობელი „დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (თბილისი) და „დინამო“ (კიევი).

საბჭოთა ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს 50 ამხანაგურ შეხვედრაში 13 ქვეყნის გუნდებთან (ავსტრია, ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დანია, ინდოეთი, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეცია).

საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს 31 შეჯიბრებაში, 10 წააგეს, ხოლო 9 დამთავრდა ფრედ. მოწინააღმდეგეთა კარში გატანილია 156 ბურთი, თავისაში მიღებულია 56.

საბჭოთა ფეხბურთელების შეხვედრები საზღვარგარეთელ სპორტსმენებთან ყოველთვის თბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა და ხელს უწყობდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

კონსტიტუციის თასზე

კვირას, 13 დეკემბერს იწყება რესპუბლიკის უძლიერეს ფეხბურთელთა შეჯიბრება საბჭოთა კონსტიტუციის თასზე. გათამაშებაში მონაწილეობენ: ტ. ტ. ს-ი, სკიფი, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის და ზუგდიდის დინამოელები, სპარტაკი“ (სტალინირი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „კოლმეურნე“, (მახარაძე) და ბორჯომის ნაკრები გუნდი.

გათამაშების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (სტალინირი), „დინამო“ (გორი) — „კოლმეურნე“ (მახარაძე), ტ. ტ. ს-ი — ბორჯომის ნაკრები, სკიფი — „დინამო“ (ბათუმი).

გათამაშების მთავარი მსაჯია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ო. ჟორდანია.

„ჩვენ თავიდან უნდა ვისწავლოთ თამაში“

უკმაყოფილო მაყურებელმა ხმაურით დატოვა „უემბლეის“ უზარმაზარი სტადიონი, როცა ინგლისისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა და ანგარიში 6:3 იყო უნგრელების სასარგებლოდ. ამ საინტერესო მატჩის დაწყებამდე 100 ათას მაყურებლიდან ძალზე მცირე რაოდენობა ეჭვობდა ინგლისელების გამარჯვებაში. ყველა ხმაურითა და სტვენით ამხნევებდა თავის ფეხბურთელებს. მაგრამ, როცა მატჩის ანგარიში თანდათან გაიზარდა უნგრელების სასარგებლოდ, სტადიონზე ალიაქოთმა იკლო და ყველას მწუხარება დაეტყო. ეს გასაგებიცაა. 90 წლის განმავლობაში ინგლისის ეროვნული ნაკრები არასოდეს არ დამარცხებულა საკუთარ მოედანზე. 25 ნოემბრის შეხვედრამ საბოლოოდ დაამსხვრია ამ ქვეყნის ფეხბურთის უძლეველობა.

მატჩის შემდეგ ინგლისური პრესა იძულებული იყო ეღიარებინა უნგრელთა გუნდის შესანიშნავი თამაში. ლონდონის გაზეთებმა აღნიშნეს, რომ უნგრეთის გუნდმა, რომელიც ორი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი შემადგენლობით მონაწილეობს საერთაშორისო შეხვედრებში, ინგლისელ მაყურებლებს დაუმტკიცა თავისი უპირატესობა. ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტებმა აღიარეს, რომ მათ ინგლისის საფეხბურთო მოედნებზე ასეთი ძლიერი გუნდი არასოდეს არ უნახავთ. უნგრელებმა აიღეს რევანში 1936 წლის დამარცხებისათვის, როცა მათ მატჩი წააგეს ანგარიშით 2:6. 25 ნოემბრის გამარჯვება არ იყო შემთხვევითი. მოწინააღმდეგე ინგლისის გუნდზე მთელი თავით მაღლა იდგა.

გაზეთი „ტაიმსი“, იძულებულია რა აღიაროს უნგრეთის გუნდის დიდი გამარჯვება, წერს: „ჩვენ თავიდან უნდა დავიწყოთ ფეხბურთის თამაშის სწავლა“.

ნორვეგიის თასი

ნორვეგიის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ვიკინგი“ და „ლილესტრომი“. 24-ე წუთზე „ვიკინგის“ თავდამსხმელმა გახსნა ანგარიში. მეორე ნახევრის 23-ე წუთზე ინგვალდსენმა გაიტანა მეორე ბურთი. შეხვედრის დამთავრებამდე „ლილესტრომის“ თავდამსხმელმა მოახერხა ერთი ბურთის გატანა. ნორვეგიის 1953 წლის თასი ფეხბურთში მოიპოვა „ვიკინგმა“.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები:
რედაქტორისა — 8-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 11210